№ 55 მარტი 16, სამშაბათი 1893 მარტი 16, სამშაბათი № 55


# ივერია

**ГАЗЕТИ ЦІНА**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და ერთძო განცხადებათა დასაბეჭდავ უნდა მიმართონ: თეთონ რედაქციას, ეკეთაში, ავშვილის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამგარცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთა ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## საერთოიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ და ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—6) დარმოამადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაკი

## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.
საგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. ღიაა 9—2 საათამდე.

(50—6) აგენტი დ. ქ. თუთაკი

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

## ახალი ამბავი

*** მთავრობას უნდა ტფილისში შემოიღოს მეკარეთა ყოლა, თითოსი დიდს სახლებში და თითოსი—სამოთხ პატარა სახლზე. მეკარეებისთვის ინსტრუქცია ბ-ნ პოლიციმეისტერს უკვე შეუდგენია.

*** ამ თთვის 18, დილის 12 საათზედ, დანიშნულია ტფილისის მოქალაქეთა სტროსტისა და მის კანდიტატის არჩევნი.

*** როგორც სჩანს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების 1892 წლის ანგარიშიდგან, ამ ბანკის წევრთ წელს ყოველ 100 მანათზედ 8 მან. და 72 კაპ. დივიდენდი ერგებათ. ამას გარდა საზოგადოების წევრებით ბანკის მოგებიდგან 2% უნდა გადაიდვას კავკასის სხვ-და-სხვა სასწავლებლისათვის. ამ ფულის ჯრეულ იქნება სულ 1987 მან. 81 კაპეიკი. ამ ფულს გადასცემენ კავკასიის მთავარ-მართებელს.

*** 13 მარტს, შაბათს საღამოს, ასე 8 საათზედ, გ. ქართველიშვილის

*** 14 მარტს, დღისით, 3 ს. 40 წამს, ტფილისის სადგურს ახლო მატარებლის ქვეშ ჩავარდა 17 წლის ველენი შტრეიხბერგი. თვლებმა მარცხენა მკლავი მოსწყვიტა და თავი რამდენსმე ალაგას დაუშავა. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** საღამოს 8 საათზე კიდევ იმავე ალაგას იპოვნეს გასრესილი გვამი 60 წლის მოხუცის ვიკტორ მოლიცკისა.

*** ს. ჯოთურა (შორაპნის მაზრა): ხუთშაბათს, 11 მარტს, ღამე ს. მღვიმეში მცხოვრები გლები სფირიდონ ბეკანის ძე გაფრინდაშვილი, კარგად შეზარხოშებული, კაცსში მიდიოდა. ცხენი გაუქენებია და ცხენსაც გადმოუგდია. მეორე დღეს დილით ადრე ჩალვადრები და მეზავრები წაადწყდნენ მკვდარს გაფრინდაშვილს და ეს ამბავი დაუყონებლივ აცნობეს პოლიციის ბოქაულს. ამბობენ, რომ, როცა ცხენს გაფრინდაშვილი გადმოუგდია, ცალი ფეხი უჭიანგში დარჩენია და ასე უორევია ცხენს; შეიძლება, ცხენის მიზეზითაც არ მომკვდარა გაფრინდაშვილი, მაგრამ 10-ს ამ თთვეს აქ თოვლი მოვიდა და ისეთი სიცივეები იყო, რომ საკვირველი არ არის, გაფრინდაშვილი სიცივისაგან გაშეშებულიყოს.

*** ჭალტაფა: 13 მარტს მატარებელმა გასრისა ერთი კაცი გვარად ანასტასი ივანოვი.

*** Гражданинъ-ს გაუგია, რომ

# სატელეგრაფო

**ფაილმა აკლემი შვა**

(ამბავი)

(დასასრული *)

ამ დღეს, რა დღესაც დედას დეპეშა მისწერა და ქალაქს დაიბარა, მიტოს დიდი შეტაკება მოუხდა მასწავლებელთან. შობამდინ რამდენიმე დღე-ღა იყო დარჩენილი: მიტო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ სოფელში უნდა წასულიყო, აღტაცებით ცმუკავდა, როცა წარმოიდგენდა თავალგადაუწვდენელ მინდვრებს, თოვლით გადაპენტილებს, ზედ დათმხალ კურდღლებს ტ თავის „ლამაზას“ სიმარდეს და სიამაყეს. საყვარელ დედის ნახვა ხომ ნეტარების ზღვაში აცურავებდა, ლამაზ დაროს თვალებიც არა ნაკლებ იზიდავდა იმის გულს და მოუთმენლად აგრძელებდა იმის თვალში ორიოდ სამ დღეს. თუმცა ეს ღელვა გულის ხმიერებას უსუსტებდა, მაგრამ მიტო ძალდატანებით სცდილობდა სწავლა არ შეესუსტებინა და ამის მოწყალეობით სახლში წასვლა რამდენიმე ხანითაც არ შეეფერხებინა. მასწავლებელმა ამ დღეს რაღაც დასაწერი წინადადება მისცა მთელ კლასს, დაწერა ერთი საათის განმავლობაში უნდა შეესრულებინათ. მიტომ საათი ამოიღო, გახსნა და სტოლის წინ დასდო, ყოველ წამს დასცქეროდა და დროს ვარაუდობდა, რომ წერილის გათავება არ დაჰგვიანებოდა. კლასში საშინელი სიჩუმე იყო და მხოლოდ ორმოცდაათ კალამს მოსწავლეებისას გაუდიოდათ წრიპინი. მასწავლებელი თავისთვის დინჯად იჯდა და ფრჩხილებს იწმინდამდა, ფრჩხილების წმენდას რომ მორჩა, ოთახში ბოლთას სახლების ეზოში, საცა ტფილისის მაზრის სამმართველოა, ერთი საზარელი კაცის კვლა მოხდა. იქვე ალაყაფის კარგბთან ვიდაც ოსმალეთის ქვეშევრდომმა ტიგრან ამირიანცმა ხანჯალი ჩასცა პატარა მუცელში საგომანოვების ქარხნის ბუხგალტერს ოქოიანცს და იქვე სული გაანბევინა. როგორც ამბობენ, ამირიანცი ორისა თუ სამის დღის წინად ჩამოსულა კავკავიდამ, უთვალთვალებია ოქოიანცისათვის და აი, როცა ეს საცოდავი ემაწვილი კაცი შესულა ალაყაფის კარებში, შეჰყოლია თან მკვლელიცა და დაუცია ხანჯალი. ოქოიანცს ისეთის განწირულის ხმით დაუყვირნია: მიშველეთ დამჩეხესო, რომ ვისაც კი ეს ხმა გაუგონია ახლო-მახლო, ამბობენ, ჯერაც ყურში გვიდგას ის საშინელი უსასოების ყვირილიო. ისე უცბად გარდაიცველა დაჭრილი, რომ ველარფერის თქმა ველარ მოასწრო თურმე. მკვლელი გაქცეულიყო მტკვრისკენ და შემალულიყო ერთს სახერხავ ფირდულში გასისხლიანებულის ხანჯლითა. იქ მხერხავს იმერელს მოეკრა იქიდამ თვალი და ახლა იქიდამ ზემოდ გაქცეულიყო. ცოდოს დაებნია გზა უბედურისთვის და საშინელ აღელვების გამო სისხლიანის ხანჯლის გადაგდებაც ვერ მოეხერხებინა. იმერელმა დაუძახა იქ მყოფს პოლიციელს, დაიპოვა, ეგ ვიდაც გარბისო, და პოლიციელმაც შეიპყრო მკვლელი. მკვლელს უთქვამს, იმიტომ მოვკალ ეგ კაცი, რომ ჩემი ასი თუმანი ემართა და არ მაძლევდაო. მაგრამ ეს მიზეზი სარწმუნო არ არის. ამბობენ, ვითომ მოკლულის შეგულიანებით მოუკლავთ ამ 12 წლის წინად მკვლელის ძმა და ახლა ამირიანცმა სისხლი აიღოვო. ესეც, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის, რადგან მოკლული სულ 25 წლის ახალგაზდა იყო და რა კეკეში მოსასვლელია, ცემა დაიწყო. უცეფ შენიშნა მიტოს საათი სტოლზედ, მიუახლოვდა და ხელში აიღო. საათს მოკლე ჯაჭვით სათამაშოს მაგვარი დურბინდი ება (ბრელოკი); მასწავლებელმა შიგ გაიხედა და საშინლად განრისხდა, გაფთრდა და შეჰყვირა: „აი შენი ჭკუა, გონება, სინდისი რაშია, შე უზნეო ლაწირაკო, შენ! და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საათი თავის სამკაულით პოლზე დაახალა და ფეხებით გასრისა. მიტომ სასოწარკვეთილებით შეჰკივლა, თავმოყვარეობამ თავი წაართო, თვალები სისხლით აევსო, იმან გაბრაზებულ ვეფხვივით ისკუპა და ყელში სწვდა მასწავლებელს: „რად დამიმტვრიე, რად? რად გამისრისე ძვირფასი საჩუქარი ჩემს მშობლისაო, პირუტყვო, არა კაცო!“

საშინელი ალიაქოთი მოხდა, ყმაწვილები მივარდნენ მიტოს, გააკავეს, საყვედური დაუწყეს. მასწავლებელი დირექტორთან გაიქცა და ერთი წამის განმავლობაში მთელი სასწავლებელი ფეხზედ იდგა. მიტოს სინანულმა გადეკარა, მიხვდა რომ საშინელი დანაშაული ჩაიდინა და ფერმკრთალი, მუხლების კანკალით მასწავლებელთან ბოდიშის მოსახდელად მივიდა: „მაპატიეთ“, ბატონო! ის პორტრეტი ერთად ერთი სურათი იყო ჩემს მშობლებისა, იმ დროს აღებული, როდესაც ერთმანეთს ეტრფალებოდნენ და რის ვაი ვაგლახით დავიყოლიე დედა ჩემი, რომ ჩემთვის დეეთმო გულზედ სატარებლად. ახლა რაღა პასუხი გავცე!“

— სტყუთო თქვენ, სტყუთო! ის თქვენი დ. ვიდაც მაწანწალა დედაკაცის სურათი იყო; საზიზღრად მიჰკროდა შენი თავი იმის თავს და პირზედ ურტყი ღიმილი გადჰკროდათ ორთავეს.

— თქვენ სტყუთი და არა მე! ხელმეორედ გაანჩხლებით დაუყვირა მიმთავრობას განუზრახავს ჯამაგირის დაწესება იმ მართალ-მადიდებელ სამღვდელოებისათვის, რომელსაც მცირე შესავალი აქვს. პირველ წელს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნება 250,000 მანეთი, ხოლო შემდეგში ამ ხარჯს თან-და-თან მოუმატებენო, ვიდრე ექვს მილიონამდე არ ავა.

*** Н. О.-ეს შემდეგი საზიზღარი ამბავი შეუტყვია. 9 ამ თთვისას ერთს ტფილისის მცხოვრებს ა. ა. მელიქ-აზარიანცს ვიღაც საეკვო კაცი ესტუმრა, რომელიც ბაშლიყით პირს იფარავდა და სახეს არ აჩენდა. სტუმარს ლაქიასათვის მიუცია რაღაც წერილი და დაბტვრეულის რუსულით მკაცრად უბრძანებია, შენს ბატონს შეუტანე და პასუხი ეხლავე შემატყობინეო. ლაქიას ბატონისათვის მოუხსენებია, ესეთი და ესეთი კაცი პასუხსაო, და დაუმატებია, რომ თუმცა სახეს არ აჩენს, მაგრამ მე ეგ კაცი სადღაც მინახავს და შემიძლიან მერეც ვიცნოვო.

წერილი სომხურად არის დაწერილი უსწავლელ კაცისაგან, შიგა-და-შიგ ლექსიცა აქვს ჩართული. იქა სწერია თურმე, რომ მე იმ ბრბოს მეთაური ვარ, რომელიც ბოლგარიიდგან წამოვიდა და ოსმალეთს მიემგზავრებაო. ეს მეთაური თხოულობს, ეხლავე 500 მანეთი მომეცი, თორემ ჩემი ბრბო ცუდს დღეს დაგაყენებს შენცა და სხვა მდიდრებსაცაო.

მეორე დღეს ბ-ნ მელიქ-აზარიანცის ლაქიას ის კაცი სადღაც უნახავს და უთქვამს, მოდი ჩემი ბ-ნი ფულს მოგცემსო. ის ხანჯალ-რევოლვერით შეიარაღებული მოურიდებლად მისულა. ბ-ნი მელიქ-აზარიანცი შინ არა ყოფილა. იმისმა დამ მიიწვია უცნობი სამზაურეულოში და გამოჰკითხა ვინაობა. უცნობს უთქვამს სომხურად, შენ რაში გე-

(* იხ. „ივერია“ № 53.

კითხება ჩემი ვინაობა, მე მხოლოდ ფულისთვის მოვედი, მამცემთ თუ არაო, რომ შემდეგ სხვა ნაირად მოვიქცეო. ცოტა ხანს მოიცადეო, უთქვამს მასპინძელს. უცნობი გაჯავრებული და დაჰმუქრებია, წავალ და ერთის საათის შემდეგ მოვალ, თუ ფული არ დაგიმზადებიათ, მერე მევიცო. ამასთანავე უცნობს თავისი ვინაობა დაუწერია, „მე მურად სუმბათიანც ბაიაზეთსკი“ ვარო (შემდეგ გამოდგა, რომ ის განჯის მაზრიდამ ყოფილა, ალექსანდრე აღაჯანიანცი).

ქალბატონს მაშინვე უბრძანებია ბიჭისათვის, მიჰყე მაგ უცნობსა და პოლიციას დააპერინეო. ბიჭიც ესე მოქცეულა.

ამბობენ, ვითომც ამ ავაზაკთა ბრბოში რავდენიმე კაცი ურევია და ყველანი თამამად და თავხედად დადიან სახლიდან სახლში და, თუ ნება-ყოფლობით ვერავინ დაითანხმეს, მაშინ ძალადობენ კიდეც. ყველანი ესენი არწმუნებენ რუსებს, რომ ბოლგარიიდგან გამოვიქეცით, იქაურ მთავრის კობურგის მტარვალობას ვეღარ შეეუძლით და ხელი გაგვიმართეთო.

*** მარტის 14, პოლიციის მეხუთე ნაწილში ძმები ვიღაც კარაპეტ და გრიქურა წაიჩხუბნენენ, გრიქურამ კარაპეტას რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია აიცდინა. დამნაშავე დაიმალა და პოლიცია დაეძებს.

*** ამ თვეის 13 გრიბოედოვის ქუჩაზე მეურნალის მამინოვის სახლის კარებთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს წყნეთის ქუჩაზე მიწის თხრის დროს საბებიო ინსტიტუტის ერთ შენობის კედელი მოირღვა. უბედურება არა მომხდარა-რა.

## ᲙᲘᲓᲔᲕᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲯ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

კვირას, 14 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში კერძო კრება იყო „ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა. ნაშუადღევის სამ საათამდე გასტანა ლაპარაკმა და კამათმამ. კრებას განსახილველი ჰქონდა, ვითხოვოთ თუ არა მთავრობისაგან სათავად-აზნაურო სკოლისათვის ისეთი უფლება, რომ მთავრობის საშუალო სასწავლებლებში უეგზამენოდ მიიღონ ისინი, რომელნიც სათავად-აზნაურო სასწავლებელში დირსეულად დამთავრებენ სწავლასაო.

გამოითქვა ორ-ნაირი აზრი: ერთნი ამტკიცებდნენ, უფლება სათავად-აზნაურო სკოლისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ იქ სწავლა დამთავრებულთ დაუბრკოლებელი გზა ჰქონდეთ მთავრობის გიმნაზიებში შესვლისაო; ზოგმა ამას ისიც დასძინა, რომ ვეცადოთ ეს სასწავლებელი—დღევანდელი პროგიმნაზია—სრულ გიმნაზიად ვაქციოთ და ამით გავუადვილოდ თავად-აზნაურთა შვილებს პირდაპირ უმაღლესს სასწავლებლებში შესვლაო. ამის მთქმელნი, სხვათა შორის, იმით ასაბუთებდნენ თავიანთ აზრს, რომ ჩვენმა შვილებმა უთუოდ უნდა გაიკაფონ გზა მთავრობის სხვადა-სხვა დაწესებულებათა სამსახურში, რათა ყველგან გვყვანდნენ ჩვენი კაცები წარმომადგენელად, თორემ დღეს ქართველობა მტკად ჩამორჩენილია უკან ყოველ გვარ სამსახურშიო. მეორენი სულ წინააღმდეგის აზრისანი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თუ სათავად-აზნაურო სკოლას დღევანდელი ხასიათი მოვუსვეთ, დიდი ხანი არ გაივლის, რომ იგი სრულიად დაემზგავსება მთავრობის სასწავლებლებს და ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ სასწავლებელს დაარსების დღიდამ, განჰქრებაო.

კამათობაში ბევრი რამ ფრიად საყურადღებო გარემოება იქმნა აღნიშნული და გამორკვეულ: უფლებათა მიღება, მაგალითად, ძვირად დაუჯდება სკოლას იმ მხრით, რომ სკოლამ უნდა დასთმოს იმ შემთხვევაში, რაც უფრო ძვირფასია მისთვისაო. სკოლის კამიტეტს ჰქონია სამასწავლებლო ოლქის მზრუნველთან მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ და ესეთი აზრი დაუსკვნია: უფლებას სათავად-აზნაურო სასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუ რომ ეს სასწავლებელი მზრუნველის სრულს მმართველობაში იქნება, ე. ი. დირექტორი და მასწავლებლებიც მხოლოდ მზრუნველის ნებით დაინიშნება, პროგრამაც საგნებისა, რასაკვირველია, ისეთი იქნება, როგორიც მთავრობის სასწავლებლებშია. რაც უფრო ნათლად გამოირკვა ეს საგანი, მით უფრო მეტად დარწმუნდა კრება, რომ უფლების თხოვნა სკოლისათვის, არა თუ საძნელოა, არამედ სასურველიც არ აღმოჩნდა.

ამ გვარად ის საგანი შეეიძინოთ სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის უფლება, მთავრობის სასწავლებლებისა თუ არაო, გადეწყვეტელი დარჩა. შემდეგი კრება ორიოდე სხვა საგნის განს ხითველად დაინიშნა ამ ხუთშაბათ საღამოსათვის იმავ ბანკის დარბაზში.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

დალილა, დრამა 4 მოქმედ., თხზა. დიუმასი, თარგმნ. დ. მესხისა.

თვით პიესის შესახებ არას ვიტყვით. ა. დიუმას ნაწერები თითქმის მთელს ქვეყანაზეა მოფენილი და მათი ღირსებაცა და ნაკლულევანებაც ევროპის მწერლობისა და კრიტიკის მიერ სავსებითა და საქმის ცოდნით განხილულ-განსაზღვრულია.

აი ამ პიესის შინაარსი:

გრაფ კარნილოს (კ. მეხი) მოუკრავს ყური სადღაც მინდვრად ერთის ყმაწვილის მწყემსის სალამურისათვის და ისე მოსწონებია მწყემსის მიერ დაკრული ხმები, რომ ეს მწყემსი როსვეინი (ვ. გუნია) წამოუყვანია და მიუბარებია ერთის მაესტროსათვის, მუსიკა ასწავლეო. როსვეინს მართლა დიდი ნიჭი გამოუჩენია მუსიკის სწავლაში და მგოსნობა-მაესტრობაში. დაუწერია კიდეც მეტად კარგი ოპერა, რომელსაც ალტაცებით მიეგება საზოგადოება. ანდრია როსვეინს შეუყვარდება თავის მოხუც მასწავლებლის სერტორიუსის დულულა. ქალი გრაფს შვილზე მეტად უყვარს ნიჭიერი მგოსანი ჯ კომპოზიტორი. ამაგიც დიდი აქვს და, ესეც რომ არ იყოს, გრაფა, საზოგადოდ, დიდი თაყვანის მცემელია ნიჭისა, ხელოვნებისა, მუსიკისა. გრაფს გაგონებაც არ უნდა ამისი, რომ მან შეირთოს ცოლი: ნიჭს სულ მოსწამლავს ცოლ-ქმრობა, გააქრობს, მოსპობსო. გრაფის აზრით, არტისტმა, გენიოსმა მგოსანმა, საოცარმა მაესტრომ თავის დღეში ცოლი არ უნდა შეირთოს. არტისტმა უნდა �ტრიალოს საზოგადოებაში, სწყვიტოს ვარდი სიყვარულისა, საცა მოხდება, იყოლიოს მოჯღური, აშიყობდეს, ეჭვიანობდეს, მღელვარებდეს, და ამისთანა ცხოვრებაში ჰპოვებდეს მრავალ-გვარ ზეციურ მელოდიას ადამიანის სხვადა-სხვა გრძნობის გამოსახატავად, გასათვალისწინებლად მუსიკისა და ლექსთა-წყობის შემწეობითაო. ყოველ ისეე ამისათვის ქორწინება, ცოლ-ქმრობის პრაზა სამარე, სიკვდილია, ნიჭის ცოცხლად დამარხვაო. ასე ფიქრობს გრაფი და როსვეინის გულში-კეტრფობის ალი ძლიერდება აფეთქებული, ისე რომ კომპოზიტორი სრულიად ყურს არ უგდებს არც გრაფის მიერ მასხარად აგდებას, არც დაშლას, არც ცდას ამ ქორწინების აცილებისას. ბოლოს, რაკი სხვაფრივ ვეღარას გახდა, გრაფმა გაიცნო ყმაწვილი კაცი გრაფინია ელეონორას, მაღალ საზოგადოების ერთს ლამაზს, მაგრამ გულ-ქვა, ზნე-დაბალს, უღირსის გულის-თქმით გატაცებულს, თავ-ქეიფასა და ფლიდს, ღალატიანს, ფარისეველს კოკოტკას; გრაფსა ჰგონია, რომ ეს აშიყი ქალი მოჰხიბლავს, გაიტაცებს ცოტასხნით ახალგაზდა მაესტროსა და მით თავიდამ ააცილებს ქორწინებასაო.

არც მოსტყუვდა ბევრნაირად გამოცდილი ბევრის მნახველი და ბევრის ცოდნე კარნიოლი, მხოლოდ სულ უბრალო რამ დაავიწყდა ამ ადამიანთა გულის ვითომ დიდს მცოდნეს; დაავიწყდა ის, რომ როსვეინისთანა გულ-უბრყვილო, როსეინისთანა უზადო და ხალასის, წრფელის გულის კაცი ბევრს ისეთს რასმეს ვერ მოურიგდება, რაც გრაფს სრულიად არ შეაწუხებს. როსვეინი შეიყვარებს სულითა და გულით გრაფინიას და იღუპება კიდეც, იღუპება სულიან-ხორციანად. იღუპება, იმიტომ რომ არ შეუძლიან აიტანოს გულ-ქვავისა, ცრუსა და ღალატიანის საყვარლის საქციელი. როსვეინი ჭლექად ჩავარდება და სისხლს ახველებს. ჭლექადვე ჩავარდება და კვდება სერტორიუსის ქალი. ეს ამბავი სულ ბოლოს უდებს წმინდა გულის ახალგაზდას. გრაფი ბევრს იცემს ბოლოს თავში, მაგრამ რაღას უშველის წამხდარს საქმეს. ვარსკვლავივით აღმობრწყინებული ნიჭიერი, გენიოსი კაცი კვდება და ზედ ცხარე ცრემლს აყრილს მხოლოდ ის, ვისის მიზეზითაც ასე უდროოდ ჩაჰქრა სხივ-ცისკროვანებით ამოსული მნათობი ხელოვნებისა და მგოსნობისა.

ბ-ნმა კ. მესხმა თავისებურის მოხერხებით თვალ-წინ გაგვიცოცხლა მხიარული, სიცოცხლის მოყვარული, წუთი-სოფლის სიამეთა მიმდევარი, დიდი თაყვანის-მცემელი ნიჭისა და ტალანტისა, შეძლებული გრაფი კარნიოლი. ისეთის სიმკვირცხლითა და სიმალხაზით თამაშობდა პატივცემული არტისტი ამ უდარდელის, მაგრამ ცხოვრების ლაზათებით დატკბობის მოტრფიალე კაცის როლს, რომ უკეთესის ნატვრა მეტისმეტი გულ-ხარბობა იქმნებოდა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეს ჭკვიანი და კარგი არტისტი თითქო თავისუფლად ლაპარაკს ვერ ახერხებს, თითქო რაღაც უშლის, რომ მისი ლაპარაკი წუალივით მომდინარეობდეს დაუბრკოლებლივ, ძალ-დაუტანებლივ.

ძნელი როლი გრაფინია ელეონორასი, ამ გულ-ცივისა, გულ-ქვავისა და თან აშიყის, კოკოტკა ქალისა,—თამაშმა ქ-ნმა ეფ. მესხმა. უნდა ვსთქვათ, რომ ეფ. მესხის ქალს ამ როლში სასურველის სავსებითა და სიცხოველით არ ეტყობოდა ის თვისებანი ზნე-დაცემულობისა, თვალთ-მაქცობისა და ღალატინობისა, რომელიც უმთავრესი ბუნებაა გრაფინი ელეონორასი. ეფ. მესხი თითქმის ისრეთსავე გულით გაურყვნელს, მომზდველსა და გულ-მართალ ქალს ჰგვანდა, როგორიც არის მარგარიტა გოტე. ცბიერება, თვალთ-მაქცობა, ზნე-დაბალი ხასიათი ელეონორასი სუსტად დაგვანახვა, ანუ ძალიან მკთალად გაგვითვალისწინა. მის ხმაში თითქო არ აღმოჩნდა შესაფერი კილო უგულო, უსულო ასპიდის დასახატავად.

ბ-ნი ვ. გუნია სრულებით თავის როლში არ იყო. ყმაწვილის, მაღლით ცხებულის გენიოსის კომპოზიტორისა და მგოსნისა იმას არა ეცხო-რა. მართალია, ის უხერხულობა, ის ტეტიობა და გულ-უბრყვილობა, რომელიც უნდა ეტყობოდეს ნამწყემსარს, ბ-ნ გუნიასაც ეტყობოდა, ამ მხრით მის თამაშობას საიმისო წუნს ვერ დასდებს კაცი, მაგრამ, სამაგიეროდ, უმთავრესი ხასიათი ამ ნიჭით და გრძნობით სავსე ახალგაზდასი მან სასურველის ძალიერებით, სასურველის სიცხოველით ვერ წარმოგვიდგენა. ბუნება პოეტისა არტისტისა, მაესტროსი, ჩვენის აზრით, ექსპანსივურია, გრძნობის ამყოლი, აღტაცებული. დიუმას ჩასახული აქვს როსვეინის ხასიათი, როგორც გულ-

---

ათი საათი სრული იყო, როდესაც გულ-გახეთქილმა მაკრინემ პანსიონის დირექტორის სახლის კარები შეაღო. იქ აუარებელი ხალხი ტრიალებდა, ზალები გაჩაღებული იყო, ბავშვები ჟივილ-ხივილით შედიოდ-გადიოდნენ და დიდ სამზადისში იყვნენ „იოლკის“ ასანთებად.

—

მაკრინე ჯერ შეკრთა, კარებთან უკან დაიწია, მაგრამ შვილის ამბის შეტყობის სურვილმა დასძლია და პირდაპირ სახლის პატრონისკენ წავიდა.

— თქვენი შვილი?! გაკვირვებით ჰკითხა დირექტორმა, ის სამი დღეა რაც სოფელში წამოვიდა?

— სოფელში, წამოვიდა... სამი დღეა... ერთი-კი შეჰკივლა მაკინემ და გული შეუწუხდა. ამას მოუარა იმ საშინელმა გულის ავადმყოფობის გულ-ყრამ, რომელიც ბევრჯელ სიკვდილით გათავდება ხოლმე. სახე გაულურჯდა, ყელის ძარღვები დაეტენა, სხეული სრული დამბლობის ნიშნები დაეტყო, ფიტრვების სუნთქვა შესწყდა, გულის-ცემა სრულიად მოესპო. ხალხი აირია, ბავშვები შეკრთნენ და შეაყენეს თავიანთი მხიარული მუშაობა; სახლის პატრონი საშინლად შესწუხდა, რომ ამ გვარმა შემთხვევამ მოშალა ამ ბედნიერ დღისთვის დაწყობილი მხიარულება და ბუზღუნით ყვიროდა: „ექიმი, ჩქარა, ექიმი».

მაკრინე დიდხანს იყო უგრძნობლად და როდის-როდის ექიმის შემწეობით სასიცოცხლოდ გამობრუნდა.

— თქვენ შინ წამოსასვლელად დაითხოვეთ? იკითხა მაკრინემ, რამ წამს გონს მოვიდა.

— დიაღ, როგორღაც ორპა-პორპოთ სთქვა დირექტორმა და უბძანა მოსამსახურეს ეტლი მოეყვანა; მერე მიუბრუნდა მაკრინეს და ჩრდილოეთ ბინაზედ უთხრა: „ჯნეინა, მიბრძანდით შინ, დაისვენეთ, დამშვიდდით, უთუოდ თქვენ და თქვენი შვილი გზაში ასცდით ერთმანეთს და მალე ყველაფერი გამოირკვევა».

მაკრინე მთლად დაუძლურებული გამოვიდა სასწავლებლიდგან და არ იცოდა, საით წასულიყო, ვისთვის მიეთართნა, ეკითხნა თავის ნუგეშის ამბავი. უცებ მოაგონდა, რომ მიტოს ჰყავდა ერთი გულითადი მეგობარი, თავის ამხანაგი ბერიშვილი და იქითკენ გეექანა.

—

ბერიშვილის ღარიბ სახლის წინ ორი-სამი ფაეტონი იდგა, მრავალი ხალხი ტრიალებდა, შედიოდ-გადიოდა, ხმაურობდა, გარშემო საშინელი ჩოჩქოლი იყო; მაკრინეს ამის დანახვაზედ გული აუჩქროლდა, საფეთქლებმა საშინლად დაუწყო ცემა, სისწრაფით გადმოფრინდა ფაეტონიდგან და საჩქაროდ აიჭრა ბერიაანთ სადგურის ვიწრო და მაღალ კიბეზედ, ოთახის კარი ღია იყო და აქედგან მაკრინემ შემდეგი სურათი დაინახა: ოთახი მთლად გატენილი იყო ხალხით და პოლიციელებით, ტახტზედ გულ-ალმა იწვა ყმაწვილი, კაცი წელამდინ გატიტვლებული; მის წინ დახრილი ჭელარა კაცი, რომელიც მწოლიარეს გულდასმით მკერდს უთვალიერებდა და შავებით ჩაცმული ქალი, რომელსაც სანთელი ეჭირა და უნათებდა. იქვე თვალებზე ხელებ დაფარებული იდგა ბერიშვილი და მწარედ ქვითინებდა.

მაკრინე ინსტიკტურად მიხვდა, რაშიაც იყო, საქმე და ჩაიჩოქა, მერე ისევ ადგა, კიდევ ჩაიჩოქა და რადგან ადგომა ვეღარ შესძლო, ფეხთაგით მიეცოდა ავადმყოფთან.

— სისხლი?... საშინლად შეჰკივლა მაკრინემ... შემდეგ ძლივს-ღა ამოილაღლაღა: შვილო, ეგ რა მიყავ?... და მიტოს დაკოდილ გულს თავი მიაპყრო.

მიტომ ამ ხმაზედ დახუმული თვალები გაადო; მათში ბედნიერებისა და ქმაყოფილების ღიმილმა გაიელვა და ისევ მიიღულნენ. ირგვლივ საშინელი სიჩუმე იყო, ექიმმაც-კი შეაყენა თავის მეცადინეობა დაჭრილის მოსაბრუნებლად და ამ სოცარის დედის მწუხარების საიდუმლოებით და დუმილით დაუძლურდა.

რამდენსამე წამს სიჩუმე არ შეწყვეტილა, უცებ დაჩოქილი და თავ-ჩაღუნული მაკრინე გულ ალმა გადაიქცა და პოლზედ გაიკმა. ექიმი დასწვდა ასაყენებლად და შეთრთოლდა: „ღმერთო, რა საშინელებაა! ეს ქალი მკვდარია“.

— მკვდარია?... ამოიკვნესა დაჭრილმა და თითქო წამოდგომა დაიპირა; შენძრეგაზედ ოდნავ შეხვეული იარა გაეხსნა, იქიდგან შადრევნივით სისხლი გადმოსქდა და მკვდარ დედის მდუღარე ცრემლების სამიგიეროდ დაეხსა.

ექ. გაბაშვილისა

წრფელისა, გულ-მართალისა და ადვილად გრძნობის ამყოლის კაცისა. ბ-ნი გუნია-კი თამაშობდა მეტად საცოდავს, საწყალს, გზა-დაკარგულს ყმაწვილს კაცს, რომელსაც თითქო თავისთვი ვერა მოუხერხებია-რა, ვერა გაურიგებია-რა და რომელიც ამის გამო სულ წუწუნსა და გმინვაშიაო. სად იყო გუნიას თამაშობაში ის დრამა სულისა, ის ღელვა, ის ბრძოლა, რომელიც უნდა დაენახვებინა არტისტს, როცა მის გულში ორი ერთმანერთის სწორი და ტოლი, ორივ ძლიერი გრძნობა მართასა და გრაფინიას სიყვარულისა შეეჯიდა ერთმანეთს? ეს შებრძოლება, ეს ჯიდილი მარტო მით დავინახეთ, რომ არტისტი თითქმის სულ თავ-ჩაღუნული, წელ-მოწყვეტილივით, დამძრეტული და ფრთებ-ჩამოყრილი სწუხდა და ჰგმინავდა. მხოლოდ ერთს ადგილს არ იყო ურიგო ბ-ნი გუნია, სახელდობრ, იქ, საცა შეიტყობს თავის საყვარელ გრაფინიას ღალატს და ძლიერი გრძნობა აღშფოთებისა დაიწყებს მის გულში ღელვასა და ბობოქრობას. მაგრამ აქაც მეტის-მეტის ხელების კანკალით და წუხილით გადაეპარა არტისტმა ზომიერებას და მით ვეღარ დაიცვა სიმართლე ხელოვნურის თამაშობისა.

წარმოდგენას იმ საღამოს ნაკლებად დაესწრო საზოგადოება, ალბად იმიტომ რომ ფასები ყველა ადგილებზე მომატებულია. უკანასკნელი წარმოდგენა ქბ-ნ ეფ. მესხისა და ბ-ნ კ. მესხის მონაწილეობით, როგორც გვითხრეს, დამშნულია პარასკევს, 20 მარტს.

გუშაგი

# დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი**, 25 თებერვალს. იანვრის 27-ს მთად მ ჩამოვარდა ცოფიანი მგელი. პირველად შევარდნილიყო საუფლისწულო მამულების სასახლის გალავან შემოვლებულ ეზოში! აქედამ გაქცეულს წინანდალში დაეგლიჯა სამი კაცი. წინანდლიდამ ქვემოხოდაშენში გადასულიყო; იქაც დაეგლიჯნა რამდენიმე. იქიდამ ხოდაშნის ბოლოს, ესრედ წოდებულს „ბძელ-მინდვრების“ ზვრებში ჩასულიყო. აქ შიუკაშვილების ზვარში დაეგლიჯნა მეზვრე სამხარაძე. ამ ცოფიანმა მგელმა დაგლიჯა რვა კაცი და მერე მოკლეს კიდეც. ორმა შიუკაშვილთაგანმა, სახელდობრ შიომ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა და მოვდელმა მ. იოანემ თავი გამოიდეს, თვისი მეზვრე გაგზავნინეს მაზრის უფროსს ტფილისის საბაქტერიოლოგიო სამკურნალოში. ბევრი შრომა და მეცადინეობა მოუნდათ ამათ, რომ ჯერ დაერწმუნებინათ მეზვრე, ტფილისში მოგარჩენენო და მერე სხვაფრივ მოეწყოთ მისი წასვლის საქმე. ამ ბოლო დროს მოგვივიდა ამბავი, რომ სამხარაძე, მეზვრე შიუკაშვილებისა, ტფილისში გარდაცვლილა დიდის ტანჯვითა. აქ დარჩენილნი, ამავ ცოფიანის მგლისაგან უფრო ძრიელ დაკბენილნი-კი, დღეს მშვიდობით არიან, მუშაობენ და ფრჩხილიც არა სტკივათ. მართალია, ჯერ ორმოცი დღე არ გასულა და არც ვიცი, შემდეგში რა იქნება, მაგრამ საჭიროდ ვრაცხ, მივაქციო ჩვენის ნასწავლ ექიმების ყურადღება ამ გარემოებას და ამიტომ მინდა აღვნიშნო შემდეგი: აქ დარჩენილებისთვის დაულევნიათ სოფლური წამალი, შემდეგ ცოფი მორეკილთ, ყოფილან რამდენსმე დღეს გაცოფებულნი და თან და თან დაწყნარებულან. ყოველ ამას კარგი გამოძიება უნდა. იქნება ზოგი რამ მართალი არ არის. საქმე იმაშია, თუ მართლა უანგბლად დერჩნენ ესენი, ღირსია თუ არა, წამალი რომლითაც მორჩნენ, ყურადღებისა? საჭიროა, გამოირკვეს, რა მიზეზით მოკვდა საბაქტერიოლოგიო სადგურში სამხარაძე? თუ სადგური რიგიანად არ არის მოწყობილი, თუ ყველა ხარისხის ცოფის აცრისათვის არა აქვს საშუალება, საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს. ამისათვის სადგური მოვალეა გამოაცხადოს, როგორის ადამოყოფობის მორჩენა შეუძლიან. ჩვენში, სადაც ხშირი ცოფიან ცხოველებისაგან ადამიანთა დაკბენა, ღირსეული ყურადღება უნდა ჰქონდეს ამ საქმეს მიქცეული. წარმოიდგინეთ ახლა, თუ ეს შვიდნი მგლისაგან იმავე მორჩენენ, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ძმანი შიუკაშვილნი და თვით მაზრის უფროსიც. რამდენი საყვედური მოელით პირში და პირს უკან კეთილის განზრახვით გამსჭვალულებს! სამხარაძეს დარჩენ აქ ძმები, რომლებიც მადლობის მაგიერ საყვედურს ეტყვიან: თქვენ თუ არ დაგენიჭათ, ჩვენი ძმა ტფილისს არ წავიდოდა და არ მოკვდებოდაო.

ნადიკვრელი

---

**ᲡᲝᲤ. ᲓᲘᲓᲘ-ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ** (ქკემო იმერ). 12 მარტი. ლოდინი ჩვენი არ დარჩა მარტო ლოდინად და საქმედაც გადაიქცა; გუშინ წინ, 10 მარტს, ვაკურთხებინეთ ჩვენი ახლად დაარსებული ბაზარი, ჯიხაიშის ბაზრის სახელ-წოდებით.

საბაზრო მოედანი შუაგულ სოფელშია, სადაც აქამდეც იყო რამოდენიმე დუქანი; მოედნის ერთის მხრით დიდი სასოფლო შარა-გზაა, რომლის აქედ-იქით თხრილებში მიჩხრიალებს ახლად გადმოყვანილ ცხენის-წყლის ტოტი. მოედანი სიგრძეთ იქნება ორი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი.

გთხენდა თუ არა დილა 10 მარტს, საბაზრო მოედანი მოიფინა სხვა-დასხვა სავაჭროებით, რომელიც წინა ღამითვე მოზიდეს. თუმცა დილა მოღრუბლული იყო, მაგრამ ხალხი არ შეუშინდა, დაიწყო დენა, სახლებში შეიჭრა თუ ვინმე დარჩ; დიდი-პატარა, მოხუცი-ყმაწვილი, კაცი-ქალი, მდიდარი-ღარიბი ყველა აქ მოგმეურებოდა, თითქო რამე დაუკარგავთ და აქ უნდა იპოვნონო, ყველას სახე ულიმდა და რაღაც სიხარულს გრძნობდა. ვაჭრობა გაჩაღდა, თუმცა კურთხევამდის არ უნდოდათ ვაჭრობა ყოფილიყო, მაგრამ რაკი კურთხევა ორ საათამდის არ ხერხდებოდა, ამისთვის მისცეს ნება. აქ დილიდგანვე ბრძანდებოდნენ მოთავე ამ კეთილ საქმისა მომრიგებელი შუა მავალი ბ. ქ. ლ—ძე, სამტრედიის ბოქაული, და სხვა უცხო კაცნიც. ადგილობრივ ბლაღოჩინ-მღვდლის ავადმყოფობის გამო მოწვეული იყო კულაშის ბლაღოჩინი მამა ერ. კ—კი, რომელიც მობრძანდა ორ საათზედ, და გაემგზავრა ქვაშვეთის წმ. გიორის ეკკლესიაში, იქიდგან შემოსილნი მღვდელნი ბაირაღებით გამგმართნენ ბაზრის მოედნისკენ, სადაც მომზადებულ შუა ადგილს გადიხადეს პარაკლისი; გალობდნენ აქაური სასწავლებლის შეგირდები. მთელი მოედანი ხალხით იყო გაჭედილი, პარაკლისის შემდეგ ბლაღოჩინმა, მომრიგებელ შუამავალმა ლ—ძემ და ბოქაულმა, მიმართეს ხალხს სიტყვით, რომელშიაც მათ დაუხატეს მათი ერთობა ამ საქმის დაარსებაში და საზოგადო მნიშვნელობა იარმუკისა აღებ-მიმცემობის განვითარებისათვის. ხალხმა ერთ ხმად მადლობა შესწირა ყველას და კერძოდ მორიგებელ შუამავალს, ამ საქმის მთავრობასთან შუამდგომლობისათვის. შემდეგ ზემოხსენებულნი და სხვა გარეშე პირნი ოთხ თუ ხუთ საზოგადოების მამასახლისებითურთ მიიპატიჟეს სკოლის დარბაზში, სადაც გამართულ იყო სადილი. სადილს 80 კაცი დესწრო.

---

## ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ

პეტერბურგის ექიმთა კლუბში 28 თებერვალს წაიკითხა ლექცია ნ. პ. გუნდობინმა ბავშვის სულიერ ცხოვრების შესახებ. ხალხი ბლომად დესწრო, უფრო-კი ქალები. ლექტორმა ჯერ მოკლედ აუწყა მსმენელთ ისტორია ფსიხოლოგიისა და სთქვა, რომ ფსიხოლოგია ცნობილია მეცნიერებად სპენსერის წყალობით, რადგან მხოლოდ იმან გვიჩვენა გზა ადამიანის სულის გამოკვლევისაო.

ლექციის საგნის შესახებ ბ-ნმა გუნდობინმა სთქვა, რომ ბავშვის სულიერი ცხორება დაბადებამდე უნდა იწყებოდეს, თუმცა ბევრს მეცნიერს ბავშვის მდგომარეობა დედის გვამში ლეტარგიულ ძილად მიაჩნია. ბაშვი რომ უგრძნობი არ არის გვამში, ამას გვიმტკიცებს მიხი მოძრაობა. ზოგი მოძრაობა, მართალია, უნებურია, მაგრამ ზოგი სურვილის გამომხატველია; დაბეჯათებით ვერ ვიტყვით, რომ გვამში ჰგრძნობს რასმე ბავშვი, რადგანაც მხოლოდ დაბადების შემდეგ შეგვიძლიან დავაკვირდეთ ბავშვს და სულის მდგომარეობით ავსხნათ მისი მოძრაობა.

ბავშვს დაბადების დროს არა აქვს ჯერ განვითარებული ის სხეულის ნაწილი, რომელზედაც გარეშე საგნები რაიმე შთაბეჭდილებასა სტოვებენ, ასე თუ ისე მოქმედობენ. იმის თვალი თუმცა ახელილია, მაგრამ ვერ არჩევს საგანს. ხმაურობა არ ესმის, რადგანაც მისი ყურები ჯერ არ ამოსუფთავებულა. ყველაზე ადრე ბავშვს შეხების გრძნობა ეღვიძება, ცივსა და თბილს წყალს ანუ ჰაერს მაშინვადვე იგრძნობს და შთაბეჭდილებას მაშინვადვე გამოხატავს. ხოლო გემოვნება და მეტადრე ყნოსვა სულ ბოლოს ეხსნება. ამ რიგად სულიერი არსებობა პირველ ხანს ცოტად ეტყობა და მხოლოდ შემდეგში, ზრდასთანავე იჩენს თავს.

სულის მოძრაობა ბავშვს მხოლოდ მეექვსე თვიდგან ეწყობა. სხვა-დასხვა საგანს რომ აცქერდება, ყველაფერი აოცებს და, აი, სწორედ მაშინ იწყება ბავშვის სულის ცხოვრება. ამას მოსდევს გრძნობა უკმაყოფილებისა და სიხარულისა. ამ რიგად, რაც უფრო უმაგრდება შთაბეჭდილებათა მისაღები იარაღი, გრძნობაც უფრო ძლიერდება და მაშინ უფრო ადვილადა ჰხატავს თავის სულის მდგომარეობას.

ლექცია ბ-ნ გუნდობინმა ესე დაასრულა. რადგანაც სულის მოძრაობა ბავშვს ძალიან ადრე ეწყობა და მაშინვე ითვისებს ავსა თუ კარგს შთაბეჭდილებას, ამისათვის საჭიროა ბავშვის ხასიათის პატარაობიდგანვე მიაქციონ მშობლებმა ყურადღება. პატარაობიდგანვე უნდა დაუწყონ წვრთნა. თუ ერთხელვე ცუდს შთაბეჭდილებას ბავშვი შეუპყრია, მისი გადაკეთება, ავის განდევნა და კარგის შთანერგვა მეტად ძნელია და ბევრჯერ შეუძლებელიც არის.

---

# უცხოეთი

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ.** ამ დღეებში ვენგრიის ქალაქ დებრენჩინთან დიდი შეტაკება მოხდა ხალხსა და ჯანდარმებს შორის; ხალხი ითხოვდა გაუქმებულ იქმნას საბაზრო ბაჟი. მთავრობამ ჯანდარმები მიიშველა; ხალხმა ჯანდარმებს ქვების სროლა დაუწყო. ჯანდარმებმა ხალხს თოფები დაუშინეს და ერთი ქალი მოჰკლეს. ამან საქმე უფრო გაამწვავა. აღელვებული ხალხი ჯანდარმებს დაერია და ისინიც უკუ იქცნენ. შემდეგ ხალხი გარს შემოერტყა ქალაქის საბჭოს დარბაზს. მთავრობამ კიდევ მიიშველა ჯანდარმები და ძლივს გაფანტა აღელვებული ბრბო. სამი კაცი მოკლულ იქმნა და მრავალი მძიმედ დაიჭრა.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.** ჰომრულის ბილლის მეორედ წაკითხვა აღდგომის შემდეგ არის დანიშნული. Daily News-ი ამბობს, რომ ეს დაგვიანება ბილლის წაკითხვისა ოპოზიციის ბრალი არისო. ოპოზიციას სურს, პარლამენტს სხვა კიდევ ბეკრი საგნები წარუდგინოს, რათა ბილლის გარჩევა დაგვიანდესო.

ჰომრულის ბილლს დიდად თანაუგრძნობენ ამერიკის შეერთებული შტატები. ირლანდიის ნაციონალურს კავშირის პრეზიდენტმა ნიუიორკში გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც ირლანდიელებს მიჰმართა და ურჩევს გლადსტონის მიერ პარლამენტში წარდგენილ ბილლს ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩინეთო. ამავე აზრით „კავშირის“ საბჭომ გამართა ხელის მოწერა, რომლითაც 150 ათასი დოლლარი უნდა შეგროვდეს.

**ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ.** ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ კლიველენდის პრეზიდენტობას დიდი მნიშვნელობა ექნება შეერთებულ შტატებს ვაჭრობის გაძლიერებისთვისაო. ეხლავე შეეტყო, რომ ევროპიდგან დიდ ძალი საქონელი მოდის ამერიკაში და ამ გვარად ჩიკაგოს გამოფენა სწორედ რომ საუკეთესო იქნება. ერთი გაზეთი სხვათა შორის სწერს: მოახლოვდა ის დრო, როდესაც ჩვენი ხალხი განთავისუფლდება დიდ შევიწროებისაგან, აქამდე იძულებულ ვიყავით ძვირად გვეყიდნა უვარგისი სანოვაგე. მალე დადგება ის დროც, როდესაც ჩვენი საუკეთესო საქონელი ევროპაში დიდ ბაზარს მოიპოვებს. ჩიკაგოს გამოფენა ყველას ნათლად დაანახვებს, ჩვენს საუკეთესო თვისებნი ნაწარმოებს და ამით ჩვენს ვაჭრობას განაძლიერებსო.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲐ.** ბერლინის კორესპონდენტი გაზეთ Times-ისა 12 მარტს დეპეშით იუწყება. ბერლინში იმედი არა აქვთ, რომ სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ თანხმობა ჩამოვარდეს მთავრობასა და პოლიტიკურ დასებს შორის. ეკვი არ არის, რომ კანონ-პროექტს უარჰყოფენ და შემდეგ რეიხსტაგი დაიშლება 20 მარტს ბერლინში დაიწყობა კრება სოციალურ პოლიტიკის საზოგადებისა (Verein fur social politik). კრება განიხილავს საგნებს, რომლებიც შეეხება მეურნეობას, სოფლის მუშათა მდგომარეობას და სხვ.

5 აპრილს მიუხვეწნენ დანიშნულია კრება ისტორიკოსთა, რომელსაც საგნად აქვს განიხილოს საქმე, თუ როგორ ასწავლიან ამ ჟამად გერმანიის გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში ისტორიას. კრებასა სურს, ისტორიის სწავლის საქმე უფრო რიგიანად მოაწყოს.

---

# წვრილი ამბავი

ამ ტოტა ხანში ამერიკის ვრქოდოგებსა და ანტროპოლოგებს დიდი საკამათო საგანი გამოუნდათ. აგვას (ტევლდის მფრქეველი მთა არის ამერიკაში) კალთაზედ, მაწას თხრის დროს, მთელი ქალაქი აღმოაჩნეს. ეს ადგილი ერთ შემლებელ დონ-ადრეადის კუთვნილი თურმე და სასხვლად ბომბეული ეწოდება. ამ რამდენსაამე კეთილ წან, დონ ადეადის ამ ადგილას რამდენიმე ნიკოეუდობა უპოვნია სწორედ ისეთი, როგორსაც სმაროობდნენ თურმე პარკანდელ დროს. ამ გვარმა აღმოჩენამ, რასაკვირველად წაარქვა მამეულის პატრონი და მაწას თხრა დაუწყო. იმედი არ გაუფრუდდა და ბეკრი სხვა სასხვლის ეკეკეულობა და მოწყობადობა ამოუნეს; სხვათა შორის: ტეფლები, თასის ქოთნები, დანები, ხმლები, შუბის წვერები, პატარა გამოქანდაკებული კერპები და ნიკოეუ დობანი. სიფურადღეობა გასსაგუთრებით პატარა ქანდაკებანი კერპებისა, რომლებიც, როგორც ამბობენ, პირკანდელ დროს ეკეუთნის. მეელი ამერიკის მეცნიერნი კიფეცეცებით ადეკეებენ თავდეუბს ამ აღმოჩენას. მაწას ჯერ კიდევ სთხრიან ამ ადგილს.

— მეცნიერებამ, ამ ბოდოს დროს, სასწორად სცნო როგორც მარკეენს აგრეთვე მარტსენ სელის ჯეროვანი კარგიშობა. ბროუნ-სეკარი ამბობს, სასწორია შეშიდლებმა ეუარადეკა მიაქციონ ამ გარემოებას და ეშაწელი პატარაობიდანვე შეაჩეინონ მარტსენ სელის კარგიშობასაცა. ეადლინი დასძენს, რომ კამოდიდებამ დაგვარწმუნა, რომ «ცხეეა» უფრო კეთსაღები არის ხიდმე, რადგანაც პატარობიდგე ორსავე ხელს აკარგეინებენ. როგორც სჩანს, მხოლოდ მარკენს ხელის კარგიშობა და მარტსენისა კი ეეურადღებად დატოვებს დიდი შეედოს ეოფილ და ადეზრდის დროს კი არ უნდა ესტდიდეთ დაკეცკეთ ეს მაგნებელი ჩვეეეა, პირიქით უნდა ძარეისად აღმოეფსურათო.

# დეპეშა

13 მარტი

**პეტერბურგი.** აკრძალულ იქმნა „Крымскій Вѣстникъ“-ის თითო ნომრობით გაყიდვა.

**პარიჟი.** კორესპონდენტი „Berliner Gagebeatti-ისა ოტტო ბრანდსი საფრანგეთიდგან გაძევებულ იქმნა იმის გამო, რომ ამ გაზეთში ტყუილი ამბავი გაჰგზავნა, ვითომ რესპუბლიკის პრეზიდენტის შვილს ერნესტ კარნოს პანამის საზოგადოებისაგან ფული აეღოს. ერნესტ კარნომ შემდეგი წერილი გაუგზავნა Eclair-ის რედაქციას: „თქვენმა გაზეთმა გერმანულ ერთ გაზეთიდგან საზიზღარი ცილის წამება გადმობეჭდა, რომელიც მე შემეხება. გაზეთი გაკვრით ამბობს, ვითომ 1888 წელს პანამის საზოგადოების ჩეკით ფული ამეღოს; რადგანაც თქვენ ეს ცილის წამება გადმობეჭდეთ, გთხოვთ ჩემი პასუხიც დაბეჭდოთ. 1888 წელს მე სულ 21 წლისა ვიყავი და ჯერ ისევ სამთო სასწავლებელში ვსწავლობდი. მაგრამ ვინც კარნოს სახელს ატარებს, ბაბუკი იყოს, თუ მოხუცი, თავის სახელს ჩირქს არაობდეს არ მოსცხებსო.

**ალჟირი.** სამხედრო კლუბში დიდის ამბით მიეგებნენ რუსეთის ესკადრას. აუარებელი ხალხი დაუხვდა რუსეთის აფიცრებს და გაიძახოდა: გაუმარჯოს რუსეთსაო.

14 მარტი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია განკარგულება, გბათილებულ იქმნას კიდევ 25 მილიონი მანეთი იმ 150 მილიონ მანათიდგან, რომელიც მოჭრილ იქმნა 1891 და 1892 წლებში.

ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო გაარჩევს შემდეგ საქმეებს: 1) დებულება შესახებ იმისა, რომ იმ ადგილებში, სადაც საერო უფროსებია დანიშნული, თუ საზოგადოება საკმარის ჯამაგირს არ დაუნიშნავს მაზრისა და სოფლის სამმართველოს მოხელეთ, ეს ჯამაგირები უნდა დანიშნოს სამაზრო კრებამ, საგუბერნო საკრებულოს ნება დართვითა და დამტკიცებით. 2) იალტა გამორიცხულ იქმნა იმ ადგილების სიიდგან, სადაც ებრაელებს ნება აქვთ მუდმივის ცხოვრებისა.

**სტამბოლი.** გუშინ საღამოთი აქ მობძანდა დედოფალი ნატალია. დედოფალი აქედგან მალე სევასტოპოლს გაემგზავრება.

**რომი.** დღეს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ, იმ დროს, როცა მეფე მიდიოდა ვილლამოს—ბორგეზს დღესასწაულზედ დასასწრებლად, ერთმა აბრანძულ ტანისამოსიანმა კაცმა ქალაქში გახვეული მიწა კარტაში ჩაადო. როცა ეს კაცი უნდა შეეპყრათ, ყვიროდა, რომ მარტო, ღმერთი მწამს და პაპის მთავრობაო. ამ კაცს უპოვეს თეთრ-ყვითელი ლენტები და პაწია ხატები, მედალების მინგვარი, აგრედვე ქაღალდები, საიდგანაცა სჩანს, რომ ეს კაცი ლუიჯი ბერარდია, 31 წლისა, ფანატიკოს-კლერიკალი, რომელსაც 1892 წელს ქ. რომში მკვლელობის გამო 7 წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს; ეს ვადა რომ გაუთავდა, ბერარდი ამერიკაში წავიდა, საიდგანაც ამას წინად დაბრუნდა. გაზეთები ამბობენ, რომ ბერარდი ჭკუაზედ შეშლილიაო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტი.

| | ფასდაკლ. | გაკეთ. ფასსა | ბოლოდ. ფასი. |
|---|---|---|---|
| | ფან. კ. | ფან. კ. | ფან. კ. |
| ბუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,88}$ | $7_{,00}$ | — „ |
| ტუმანების ბუნონების | $15^1/_2$ | $152^1/_4$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | $1_{,16}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $240^1/_2$ |
| —მეორისა . . . | — „ | — „ | $221^1/_2$ |
| სახელმწიფო თავადაზნაურების ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | $195^1/_2$ |
| გირვანქობის ფურცელი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — „ | 102 | — „ |
| 5% . . . . . | 100 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — „ | 102 | — „ |
| 5% . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რაქინის გზის ნიოსცსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკეთ.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკეთ.

პარასკევობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკევობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური | რუსული | 1 გირ. | 5 კ. |
| წითელი „ | 1-ის ხარისხ. | „ | 4 „ |
| „ „ | 2 „ „ | „ | $3^1/_2$ „ |
| „ „ | 3 „ „ | „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. | 1 ხარ. | „ | 5 კ. |
| „ „ „ | 2 | „ | 4 „ |
| „ „ „ | 3 | „ | $3^1/_2$ „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. | ლავამ. | 1 გ. | 7 კ. |
| მე-2 „ | „ | „ „ | 5 „ |
| მე-3 „ | „ | „ „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი | 1-ის ხარისხისა | | 7 კ. |
| სუკი | — | — | 12 „ |
| ცხვრის ხორცი | — | — | 7 „ |


## განცხადებანი

## გბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—27)

აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში $7^1/_2$ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰლირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში—ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—12)

ნუ აიდულოგთ ოლე-ვაზელინის საპონს „РОЯЛЪ-ЖОНГЪ“ რომელსაც ვასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს ვამომეგონებისავან

## ე. ბოდლო და კ° საგან




ბეჭდვითსდგომი ეტიკეტი ეს ნიშანი!

ბეჭდვითსდგომი ეტიკეტი ეს ნიშანი!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლე-ვაზელინის „РОЯЛЪ-ЖОНГЪ“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კ°

ადრესი: Москва, 3-я Мѣщинская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—6)

ტფილ. გამოფენა.

ვერცხლისა

ოქროსი

## ალალო თუთაევსა

### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეხავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინდისიანის ხელოსნების შოვნა, ეხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—4) ალ. თუთაევი

## მექარხნეში

### საკუთარ სახლი

## ბენდერ-სტეფანოვი

### ტფილისის განყოფილება

სოლოლაკ. ქ. სხ. ალაბამიანისა.

**ისყიდება ძველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუნა ტანსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით სიჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—10)


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Марта 1893 г. სტამბა ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲘᲡ. რედაქტორ-გამომ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ